ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.27/10/078

ქ. თბილისი 28 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი **გამგებლის დიმიტრი ორმოცაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ლგ გლასს"** წარმოდგენილი მისი **დირექტორის მალხაზ როსტიაშვილის** სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია: სტრუქტურული მინა-პაკეტი თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი-მონტაჟი), გლდანის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის გარე ფასადისთვის.

1.2 **CPVკოდი - 14820000- მინა**

1.3 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, რაოდენობა ერთეულის და საერთო ფასი განისაზღვრება №1 დანართის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 1814,00 (ერთი ათას რვაას თოთხმეტი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება მაღალი ხარისხის, უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დანართი №1-ში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2 მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს 2(ორი) წელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან. საგარანტიო პერიოდში დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით შეაკეთოს შესყიდვის ობიექტი ან საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს ახლით.

4. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულის საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, საჭიროების შემთხვევაში კი წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ:

სოფიო თოხაძე - გლდანის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი,

კახა გოგატიშვილი- პროვაიდერების ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი,

5. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 01 ივლისის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1[ა], გლდანის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

5.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ხელშეკრულების 4.5 პუნქტში მითითებული პირები.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის სათანადო წესით გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2 პროცენტის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,4 % ოდენობით,

9.2 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების 5(ხუთი) პროცენტის ოდენობით.

9.3 დარიცხული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნეს შემსყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით, ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების გარდა.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2 სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები,თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები

გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.
12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუწოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიღებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
გლდანის რაიონის გამგეობა	**შპს „ლგ გლასს“**
მის: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ბ	მის: ქ. თბილისი, ვანის ქ. №4
საიდენტიფიკაციო კოდი: 209466843	ს/კოდი: 211328810
ქ. თბილისი, `სახელმწიფო ხაზინა“	სს „პროკრედიტ ბანკი“
კოდი TRESGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა № GE32PC0133600100059793
ტელ.: +995 32 2 381 980	ტელ. +995 571 85 55 44; 571 85 55 44(ირმა)
გამგებელი ---------- დიმიტრი ორმოცაძე	დირექტორი ---------- მალხაზ როსტიაშვილი

№	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ღირებულება (ლარი)
1	სტრუქტურული მინა პაკეტი თანმდევი მომსახურებით (დღგ-ს ჩათვლით)	კვ.მ	9,51	122,39 8	1164,00
2	თანმდევი მომსახურება (დემონტაჟი-მონტაჟი, ტრანსპორტირება)				650,00
	სულ ჯამი				1814,00

შემსყიდველი:
გლდანის რაიონის გამგებელი

დიმიტრი ორმოცაძე

მიმწოდებელი:
შპს „ლჯ გლასს“-ს დირექტორი

ძალხაზ როსტიაშვილი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 28 ივნისი 2016 წ.

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ, მინა-პაკეტის (დემონტაჟი-მონტაჟით) სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით 28.06.2016 წ. №10.27/10/078 ხელშეკრულებაში მითთითებულ მიმწოდებელთან (შპს „ლგ გლასს“) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი დ. ორმოცაძე

ხელშკრულების შესრულებასა და კონტროლზე

პასუხისმგებელი პირ(ებ)ი: ს. თოხაძე

კ. გოგატიშვილი